პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ოთხშაბათი, 25 თებერვალი 1925 წ. | წლიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი ჯარი

№ 43 (731) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა | ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ. | მეოთხეზე 20 კაპ. ნერვონელ ნომპარელის სტრიქონ. სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ქართული წითელი დივიზიები მხურვალედ ულოცავენ საქართველოს მუშებს და გლეხებს საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავს და რევოლიუციონურ ფიცს სდებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან 25 თებერვალს მონაპოვარი თავისუფლება.

## გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავს!
## გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!
## გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა ხელისუფლებას!

## ოთხი წელი.

დღეს ჩვენ ვზეიმობთ საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავს. დღეს ჩვენ ჯამს ვუკეთებთ იმ მუშაობას, რომელსაც აწარმოებს მუშურ-გლეხური ხელისუფლება და საქართველოს მშრომელი მასები ამ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში, დღიდან მენშევიკურ რეჟიმის დამხობისა. მეტად ძნელი და რთული პირობებში სწარმოებდა ეს მუშაობა.

მენშევიკების ბატონობამ ჩვენ გვიანდერძა სრულიად გაღატაკებული მხარე, გაპარტახებული მეურნეობა, დანგრეული ტრანსპორტი, შიმშილი, სურსათ-სანოვაგის უქონლობა—აი რა დაგვიტოვეს დასავლეთ იმპერიალიზმის მოციქულებმა. თავისი სამი წლის ბატონობით, მათ უფსკრულის პირამდე მიიყვანეს საქართველო.

მაგრამ მენშევიკებმა არა თუ დაანგრიეს საქართველოს მეურნეობა, აგრეთვე საკმაოდ გაძარცვეს ის. როდესაც, ისინი დამარცხებული წითელი-არმიის მიერ, ქუდ-მოგლეჯილი გარბოდენ თავის საყვარელ—იმპერიალისტურ ევროპისაკენ, მათ თან გაიტაცეს დიდძალი სიმდიდრე, რომელიც შეადგენდა საქართველოს მუშების და გლეხების საკუთრებას. გარდა ამისა მათ დაგვიტოვეს შოვინისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი ატმოსფერა. განსაკუთრებით დიდის უკმაყოფილებით გვიყურებდა ინტელიგენცია და მოსამსახურეები. აი ასეთი მძიმე პირობებში დაიწყო ოთხი წლის წინად თავისი მუშაობა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ. და უნდა ითქვას, მან ბევრის გაკეთება შესძლო ქვეყნის აღორძინების საქმეში. საბჭოთა ხელისუფლების გონიერ პოლიტიკამ, მისმა ენერგიულმა და გადამჭრელ ნაბიჯებმა, რომლებიც მიმართული იყო ქალაქის და სოფლის მეურნეობის აღდგენისაკენ, მოიტანეს საუცხოვო შედეგები. ამ ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობა და სოფლო-მეურნეობა დაადგა აღორძინების და აღდგენის გზას. ამასთანავე ერთად გაყვანილ იქმნა ახალი გზები, რკინის გზის შტოები და მიმოსვლის საკითხი მოგვარდა. აშენდა ახალი ელექტრო სადგურები—ბევრი კი შენდება და სულ მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას.

აგრეთვე გაუმჯობესდა სახალხო განათლება და მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. განვითარდა მომხმარებელი, საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხვა.

ერთი სიტყვით ყოველ დარგში ჩვენ ვხედავთ გაუმჯობესებას, წარმატებას და წინსვლას. ცხადია ყოველივე ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მშრომელთა მასებზე. ჩვენი მტრები, განსაკუთრებით მენშევიკები, რომლებიც ელაპარაკებოდენ მუშებს და გლეხებს, რომ ბოლშევიკები დაანგრევენ ყველაფერს, მოსპობენ ეროვნულ თავისუფლებას და კულტურასო, ასეთი პროვოკაციით აპირებდენ თავისი გავლენის გაძლიერებას და მშრომელთა მასების გადაბირებას თავის მხარეზე.

მაგრამ სასტიკად მოსტყუვდენ თავის ანგარიშში. თავისი საქმით და შრომით კომუნისტურ პარტიამ და საბჭოთა ძალა-უფლებამ სრულიად წინააღმდეგი დაუმტკიცა მშრომელ ხალხს. როგორც არას დროს დღეს საქართველოში უზრუნველყოფილია ეროვნული თავისუფლება და ზავი, როგორც არას დროს დღეს შექმნილია საუკეთესო პირობები ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. არა დანგრევა, არამედ აღორძინება და მშვიდობიანი ცხოვრება მოუტანა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ საქართველოს.

ყოველივე ამან თავისი შედეგები მოიტანა.

საქართველოს მუშა და გლეხი დარწმუნდა მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონერობაში და ზურგი შეაქცია მას. თვით მენშევიკური პარტია გაიხრწნა და დაიშალა, მისი საუკეთესო ნაწილი-მუშური ხერხემალი ჩამოშორდა მას და გადავიდა კომპარტიის რიგებში. მენშევიკურ პარტიას შერჩა ერთი მუჭა თავად-აზნაურობის წრიდან გამოსული გაპოროტებული ინტელიგენტებისა რომლებმაც ავანტიურისტული გამოსვლით ამ ზაფხულში სცადეს თავისი ბატონობის დაბრუნება, მაგრამ სასტიკად დამარცხდენ. მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ ქართული წითელი ჯარის საშვალებით მყისვე მოუღო მათ ავანტიურას ბოლო. მენშევიკების ბანდიტურ გამოსვლამ სამუდამოთ თვალი აუხილა იმათაც ვინც კიდევ უნდობლობით გვიყურებდა და დაარწმუნა ისინი მენშევიზმის საბოლოო გაკოტრებაში. დღეს საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დაყრდნობილია არა მარტო მუშების და გლეხების უსაზღვრო ნდობაზე, აგრეთვე მშრომელ ინტელიგენციაზეც, რომელმაც უკანასკნელ მასწავლებელთა ყრილობაზე ხმა მაღლა აღიარა თავისი ერთგულება მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისადმი.

ამ ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა ძალა-უფლება გახდა საქართველოს მშრომელთა მასების ნებისყოფის ინტერესების ნამდვილი გამომხატველი ძალა-უფლება, ხოლო კომუნისტური პარტია კი მისი ერთად ერთი ბელადი და წინამძღოლი.

ბევრი გაკეთდა ამ ოთხ წელში. მაგრამ ბევრი და ათასჯერ მეტი გასაკეთებელია მომავალში. სოფლის გამოყვანა სოციალისტურ აღმშენებლობის ფართო გზაზე და მისი ქალაქთან დაახლოება—აი ჩვენი მორიგი ამოცანა. გაასკეცებული ენერგიით და ძალით კომუნისტური პარტიის მეთაურობით საქართველოს მუშა და გლეხი განახორციელებს ამ ამოცანასაც და წავა წინ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად სოციალიზმის შემდეგი აღმშენებლობის გზაზე.

ქართული წითელი ჯარი დღესასწაულობს რა გასაბჭოების ოთხი წლის თავს, კიდევ ერთხელ იმეორებს თავის ფიცს, რომ ის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს მუშების და გლეხების ინტერესებს და თავისუფლებას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს!

გაუმარჯოს მის ბელადს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!



საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე
**ამხ. მიხა ცხაკაია.**

## საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავი და ჩვენი მიღწევები.

დღეს სრულდება ოთხი წელი საქართველოს გასაბჭოების დღიდან.

ოთხი წელია საქ. მუშა და გლეხი თვით არიან ბატონ-პატრონი და ხელმძღვანელი თავისი ქვეყნისა.

დღეს, როდესაც ვდღესასწაულობთ საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავს, ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ საბჭოთა კავშირის საგარეო და შინაურ მდგომარეობას, და გაკვრით მაინც არ გადავავლოთ თვალი მუშათა განწყობილებას შიგნით და გარეთ, არ ავსწონდავსწონოთ მტრის ბანაკი და ჩვენი ამხანაგების რიგები, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ და რომელზედაც დამოკიდებულია სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვების საქმე იქ.

საბჭოთა კავშირი მისი არსებობის შვიდი წლის განმავლობაში იცნო მთელ რიგ სახელმწიფოებმა.

ჩვენ გვიცნო მტრულად განწყობილმა საფრანგეთმაც, იაპონიამაც დასდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან; თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ ჯიუტობს, მაგრამ, დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მალე ისიც იძულებული იქნება გვიცნოს.

მაგრამ ამას არა აქვს იმდენი მნიშვნელობა ჩვენთვის ვინაიდან ჩვენ ვიცით, ბურჟუაზიის განწყობილება მუშათა კლასთან და მით უმეტეს ერთად ერთ მუშურ სახელმწიფოსთან—საბჭოთა კავშირთან, რომელიც მებაირახტრე და ხელმძღვანელია პროლეტარიატის კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობანი სულ უფრო და უფრო ღრმავდებიან, რაც გამოწვეულია ეკონომიურ არევ-დარევით და მოუწესრიგებლობით.

ამიტომ კაპიტალი ეძებს საერთაშორისო ბაზარს და კვლავ სვამს საკითხს დედამიწის ზურგის ხელახალ გადამიჯვნის შესახებ; მათი სურვილია ახალი ახალშენების დაპყრობა, ახალი საექსპლოატაციო ადგილების მოპოებით, რომ თავის კაპიტალს უშოვოს სამოქმედო სარბიელი.

სწორეთ ეს ურთიერთ მეტოქეობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა, გვაძლევს ძალას და კიდევ უფრო მტკიცედ ხდის პროლეტარიატის ბატონობას საბჭოთა კავშირში მით უმეტეს, რომ საბჭოთა სახელმწიფოები გამსჭვალული არიან ერთის ინტერესით, ერთი სულისკვეთებით და მათი კავშირი სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება.

მეორე მხარე რომელიც ჩვენს საგარეო მდგომარეობას აძლიერებს—ეს არის რევოლიუციონურ ძალების ზრდა მთელ მსოფლიოში. კომუნისტური პარტიები უკვე ჩამოყალიბებულია ყველა ქვეყნებში.

დღეს მათი მუშაობა მიმდინარეობს მასებში გავლენის მოსაპოებლად და მისამხრობად; ჩვენ ვხედავთ რომ ეს მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს, ბურჟუაზიის გახრწნასთან ერთად იხრწნება თვით მსოფლიო სოციალისტ-გამყიდველების ბანაკიც, რის დამამტკიცებელიც არის გერმანიის სოც. დემოკ. და ბარმატის საქმე. მთლიანი ფრონტის შექმნის საკითხი კაპიტალთან საბრძოლველად, მიუხედავად მეორე და ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალის საბოტაჟისა და პირდაპირი წინააღმდეგობისა, სულ უფრო და უფრო იკრებს ფართე მასებს თავის გარშემო.

ჩვენი შინაური მდგომარეობა, როგორც საგარეო, მჭიდროთ არის დაკავშირებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან მის პოლიტიკურ სიმტკიცესთან და ეკონომიურ ზრდასთან. საბჭოთა აპარატების გაუმჯობესებას სოფლად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პარტიის და მთავრობის მხრივ. ეკონომიურ დარგში საბჭოთა კავშირმა მიაღწია ომამდის არსებულ ნაყოფიერების 80 პროც.-დი სოფლის მეურნეობაში, მძიმე მრეწველობაში კი 40 პროც.-დი, კერძოთ საქართველოში ჩვენმა მთავრობამ მიაღწია შემდეგს: ტფილისში ლითონის დამუშავების საქმეში დიდი შედეგები იქნა მიღწეული. სხვა დარგებში, შედარებით გასულ წელთან, ჩვენმა მრეწველობამ წაიწია წინ, მაგ: სპილენძის მრეწველობა გაიზარდა 195 პროცენტით, თუჯის 187 პროცენტით, ფოლადის 144 პროცენტით. ტყავის დამზადების საქმეში 1924 წ. მუშათა რიცხვი გაიზარდა 51 პროცენტით

და ნაყოფიერების ჯამი ავიდა 517,000 მან. პოლიგრაფიული წარმოების პროდუქციამ აიწია 240,500 მანეთამდე. საპნის, ზეთი და ბამბის დამზადების საქმემ გაადიდა მუშათა რიცხვი 100 პროც-ით და პროდუქციის მთელი ჯამი აღწევს 530.000 მან. თამბაქოს საქმეს უკვე საგრძნობი მოგება მოაქვს. ბორჯომის წყლის კომბინატმა თავისი წარმოება გაადიდა, შედარებით 1919 წელთან და 1924 წ. მან დაამზადა 2.000.000 ბ. წყალი; მარგანეცი ჩვენთვის ერთი უმთავრესი საწარმოო დარგია. აქ კი 1924 წ. დამზადდა 18 ნახ. მილიონი ფუთი, საზღვარ გარეთ კი გატანილ იქმნა 30.000.000 მილ. ფუთი; ქვანახშირის წარმოებამ მოგვცა 4.000.000 ფუთი, გარდა ამისა მელიორატიულმა საქმემ მიიპყრო ჩვენი მთავრობის დიდი ყურადღება და მან ამ საქმისათვის გადასდო ერთი მილიონი მანეთი.

ასეთია ჩვენი მიღწევები, გარდა ამისა სახალხო განათლების დარგშიც ჩვენ წავიწიეთ წინ, ჩვენს უნივერსიტეტებში სწავლობენ 5.000-მდე სტუდენტობა.

საშუალო სასწავლებლებში კი 206.000 მუშა და გლეხის შვილები.

სახალხო ჯანმრთელობის საქმეში საბჭოთა მთავრობამ შესძლო გაედიდებია საავათმყოფოებში საწოლები 4.000-მდე, წინაამდეგ 2.000-ისა მეფის დროს და 1.000-ის მენშევიკების დროს.

ყველა ეს არის საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიღწევები და ის მტკიცეთ განაგრძობს ამ გზაზე სვლას მით უმეტეს, რომ მას ყავს ძლიერი მოკავშირე, საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს მუშათა კლასი.

რომ, ჩვენ ძლიერი ვართ, ამის დამამტკიცებელია ის, რომ მენშევიკების და სხვა ანტი-საბჭოთა პარტიების ავანტიურა სულ სამ დღეში იქმნა ძირშივე ჩახშობილი თვით მუშებია და გლეხების მიერ.

ამასთანავე ერთად საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიღწევა, საქართველოს წითელი ჯარია, რომელმაც უშვალო მონაწილეობა მიიღო მენშევიკების ავანტიურის ჩაქრობაში და შემდეგშიდაც მტკიცეთ იდგომება მუშათა და გლეხთა ხელისუფლების საგუშაგოზე.

გარდა ამისა საბჭოთა საქართველომ შიაღწია სრულ ეროვნულ მშვიდობიანობას. ის ეროვნული შუღლი, რომელიც მენშევიკების დროს მძინვარებდა საქართველოში დღიდან გასაბჭოებისა აღმოფხვრილ იქმნა.

დღეს სრული სიმწყნარე და ძმური განწყობილება არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ერებს შორის. თვით საქართველო სწორუფლებიანი წევრია ა. კ. ფედერაციის და საბჭოთა კავშირის. აი სწორეთ ეს არის უმთავრესი მიღწევა საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის.

დღეს, როდესაც ჩვენ ვდღესასწაულობთ, საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავს, შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ ჩვენ იმდენად ძლიერი ვართ, ისეთი გიგანტიური ნაბიჯებით მივდივართ წინ, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ამ წინსვლას. ბურჟუაზიული სახელმწიფოები განიცდიან ნგრევას, თანდათანობით ხრწნას, ხოლო ამავ დროს რევოლიუციონური ძალები მთელს მსოფლიოზე ირაზმებიან და ემზადებიან ახალი ბრძოლებისათვის. ჩვენ დარწმუნებული იმაში, რომ, მიუხედავად ჩვენი ცნობისა, ბურჟუაზიული სახელმწიფოები ყოველთვის ეცდებიან ლახვარი ჩასცეს გულში ერთად-ერთ საბჭოთა ხელისუფლებას, მხნეთ და შეგნებულად ვივლით, დაწყებული საქმის განსახორციელებლად იმ გზით, რომელიც გვიანდერძა ამხ. ლენინმა, და რომლითაც მიდის კომუნისტური პარტია.

ვ. სიხარულიძე.

# ოთხი წლის თავზე.

დღეს შესრულდა ოთხი წელი დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა. 25 თებერვალი არის ქართველი მუშების და გლეხების განთავისუფლების დღე.

ამ დღიდან მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას საქართველოში.

25 თებერვალი ეს საქართველოს წითელი ოქტომბერია, საიდანაც მუშები და გლეხები იწყებენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ფორმების ჩამოყალიბებას, ამ მიზნისათვის საქართველოს მუშებმა და გლეხებმა არა ერთი და ორი მსხვერპლი გაიღეს, მრავალჯერ იყო ცდა არსებული მენშევიკური მთავრობის ჩამოგდების, მაგრამ ყოველთვის შესძლო მენშევიკების მთავრობამ ინგლისელების და გერმანელების დახმარებით სისხლშიჩაეხშო გლეხურ აჯანყებები. ამ აჯანყებებში მონაწილეობისათვის მრავალი ათეული გლეხები იქნა დახვრეტილი კახეთში, გორში, დუშეთში, ლეჩხუმში სამეგრელოში, ოზურგეთში, აფხაზეთში და სხვაგან. საქართველოს არც ერთი კუთხე არ დარჩენილა, სადაც მენშევიკების ჯალათების მიერ არ იყოს საუკეთესო რევოლიუციონური გლეხები და მუშები დახვრეტილი და აწიოკებული. მაგრამ მენშევიკების თეთრი ტერორი ისტორიას ვერ შეაჩერებდა და ისტორიამ სამ წელზე მეტი ბრძოლის შემდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდა არა ლეგალურ პირობებში მყოფი კომუნისტური პარტია, გაამართლა მასზედ დაკისრებული მოვალეობა და საქართველოს გლეხების და მუშების გულში ნადები მწუხარება გაუქარწყლა. 1921 წ. 11 თებერვალს სომხეთის და ადერბეიჯანის საზღვრებთან მცხოვრებლებმა მოახდინეს აჯანყება და აჯანყებულებს დაეხმარა იქვე მდგომი წითელი არმია, რომელმაც ბოლოს თავის თავზედ მიიღო საქართველოს მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმე, რაც პირნათლად შეასრულა.

მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრს მივაღწიეთ. აქ მოკლეთ შევეხები ჩვენს მუშაობას ამ ხნის განმავლობაში. უდიდესი დამსახურება, რომელიც მას უდევს მშრომელებთა წინაშე ეს არის მიწის საკითხის გადაწყვეტა.

არც ერთ მუქთა ხორას მიწით სარგებლობის უფლება არ აქვს, ყველა თავადებს და მემამულეებს მიწა ჩამოერთვა და გადაეცა გლეხებს.

სკოლის კარები სწავლა-განათლების მისაღებად ფართოდ გაეღო მშრომელ ხალხს.



საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ამხ. შ. ელიავა.

ულარიბესი გლეხობა თავისუფალია სწავლის ფულიდან. ქალაქის მუშები ყოველმხრივ ეხმარება სოფელს მისი კულტურულ და მატერიალურ დონის ამაღლებაში. შემოვიღეთ მტკიცე ფულის კურსი, რაც უზრუნველყოფს გლეხის შრომის ფასის შენარჩუნებას. ამას გარდა მოფენილია კოოპერატივის და საკრედიტო ამხანაგობის ქსელით მთელი საქართველო, რომელთა საშუალებით მთავრობას აწვდის გლეხობას სურსათს, მანუფაქტურას და სხვა [illegible] საგნებს ზოგ ქალაქებში და სოფლებში შენდება ელექტრო სადგურები. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის იხსნება დასასვენებელი სახლები და სანატორიები. ერთი სიტყვით საბჭოთა მთავრობას ერთი წუთითაც არ ავიწყდება თავის მოვალეობის შესრულება მუშების და გლეხების წინაშე.

მაგრამ ამ საქმის შესრულების ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება წინ ესენი არიან მუშათა მთავრობასთან მტრულათ განწყობილი პირები რომლებიც ყოველთვის მზათ იყვენ ლახვარი ჩაეცათ მუშების და გლეხებისათვის ზურგში ესენი არიან მენშევიკები ფედერალისტები, ვაჭრები, მემამულე თავადები და სამღვდელოება, ყველა ზემო ჩამოთვლილებმა დაკარგეს თავიანთი ბატონობა მუშებზე და გლეხებზე და შეკრენ ერთი კავშირი ჩვენს წინაამდეგ.

მაგრამ ბედმა უმტყუნა ამ განწირულ საზოგადოებას 28 აგვისტოს „გამოსვლის“ დროს და ამ ვითომდა ხალხის „კეთილის მსურველ“ ვაჟბატონებს სამუდამოთ კისერი მოუგრიხა ჩვენმა წითელმა არმიამ. ამ დამარცხების შემდეგ მათი ოცნება ჩვენს წინაამდეგ ბრძოლისა სამუდაომთ ჩაბარდა ისტორიის არქივს. დღეს ყოველი მშრომელი დარწმუნებულია მენშევიკების გამცემლობაში და კონტრ—რევოლიუციონერობაში.

დღეს მთელი მშრომელი ხალხი, თავის წინამძღოლ კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას იღებს საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში.

წითელი არმია არა თუ იცავს რევოლიუციის მონაპოვარს, არამედ აქტიურადაც ეხმარება მშრომელთ სოციალიზმის განხორციელების საქმეში.

ს. ლომიძე.

# საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავზე.

1921 წ. 25 თებერვალს საქართველოს მიდამოებში შემოანათა თავისუფლების მზემ. სამი წლის განმავლობაში მენშევიკების ბატონობის დროს უსამართლობით წელში გატეხილმა საქართველოს მუშათა კლასმა 25 თებერვალს თავისუფლათ ამოისუნთქა.

საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა მენშევიკების ბატონობით გავერანებულ-გაპარტახებულ და გაძარცულ საქართველოს აღდგენას. მისი საქმიანობა საქართველოს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ, გამაგრება პოლიტიკურსა, თუ ეკონომიურ ფრონტზე—მაჩვენებელია კომუნისტური პარტიის უძლეველ სიმტკიცის მშრომელთა მასის ინტერესების დაცვის საქმეში.

მენშევიკების საქმიანობა ყოველთვის მუშების და გლეხების დარბევით ხასიათდებოდა. ყველასათვის აშკარაა, თუ როგორ მუშაობას აწარმოებდენ გამყიდველ მენშევიკები საქართველოში.

მშრომელი ხალხის ეკონომიურ კრიზისიდან გამოყვანის ნაცვლათ ჩვენ ვხედავთ, აწიოკებას, აოხრებას და დარბევას საქართველოს მუშებისა და გლეხების.

ჯალათ მენშევიკები სამი წლის განმავლობაში აწარმოებდენ ყაჩაღურ ძარცვას, გლეჯას, განადგურებასა და დანგრევას. ბ. მენშევიკები ცეც-ხლითა და მახვილით უმასპინძლდებოდენ საქართველოს მშრომელ ხალხის მოთხოვნილებებს და აჯანყებებს მათ წინაამდეგ. იმათ გააჩაღეს ძმათა სისხლის ღვრა, ეროვნული შუღლი და მტრობა მეზობელ რესპუბლიკებს შორის.

მენშევიკების წყალობით საქართველოს მშრომელი ხალხი დიდ ჩაგვრას განიცდიდა დასავლეთ იმპერიალისტების თარეშით საქართველოში; მშრომელი ხალხის ქონება და სის-

# სისხლიანი შაბათი.

**მუშათა და გლეხთა მიტინგის დახვრეტა ალექსანდროვის ბაღში 1918 წ. თბილისში.)**

საქართველოში მენშევიკების ბატონობის ისტორია სავსეა შავი სტრიქონებით, რომლის მსგავს ჩვენ ვნახავთ, მხოლოდ მეფის მთავრობის არსებობის ხანაში. **ლეჩხუმი, ცხინვალი, დუშეთი** და სხვა მრავალი კუთხეები ჩვენი პატარა ქვეყნისა, მოწამეა ამის, რომლებმაც უშუალოდ განიცადეს მენშევიკური აღვირ-ახსნილობა. ოდესღაც რევოლიუციონური პარტია, დროთა მსვლელობის განმავლობაში იმდენათ გაიხრწნა, რომ შესაძლებელი გახდა მისი რეაქციის ბურჯად გადაქცევა. და, აი, იმ დროს, როდესაც მენშევიკ-ესერების მიერ მოტყუილებული რუსეთის მუშათა კლასი, ოქტომბრის დღეებში, უდიდესი ბელად ლენინის ხელმძღვანელობით, ხელმეორედ წამოიჭრა ბურჟუაზიის დასამხობად და საკუთარ ხელში ძალა-უფლების ასაღებად, აქ, ჩვენში, როგორც მოსალოდნელი იყო, მენშევიკები მუსავატებთან და დაშნაკებთან ერთად აარსებენ ამიერ კავკასიის კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობას, რომელსაც მათი სიტყვით, უნდა ეხსნა ხალხი რუსეთის ანარქიისაგან (იგულისხმება რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციისაგან).

საქართველოს მშრომელი ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ვერ დარწმუნებულიყო მენშევიკების მოღალატეობაში, მაინც გრძნობდა მათ მაცდურობას და სწორედ იმ დღეს, როდესაც მენშევიკები დაშნაკებთან და მუსავატებთან გაერთიანებული პირველად ხსნიდნენ ამიერ კავკასიის სეიმის სხდომას (პარლამენტისებურ დაწესებულებაა) მშრომელი ხალხი, თავის მოწინავე რაზმის სახით შეიკრიბა ალექსანდროვის ბაღში, რათა გადაეწყვიტა თუ საით წასულიყო და ვის მიმხრობოდა ის.

10 თებერვალს 1918 წელს თბილისის სხვა და სხვა კუთხეებიდან მუშების საუკეთესო ნაწილი მრავალი გამოეშურა დანიშნულ ადგილისაკენ, რათა მოესმინა პასუხი მისთვის საჭირბოროტო კითხვაზე. ხალხმა ათასობით მოიყარა თავი, ალექსანდროვის ბაღი ძლივს იტევდა მათ, მრავალი იყო მათში გლეხები, რომელნიც ამ დღისათვის საქმეებზე ჩამოსულიყო ქალაქად, აქვე იყვნენ იმპერიალისტურ ომისგან მოქანცული ჯარის- კაცები, რომელნიც გაფაციცებით ადევნებდენ თვალს ყოველგვარ პოლიტიკურ მიმდინარეობას. ხალხი გატაცებით უსმენდა და ვერ ამჩნევდა, თუ როგორ არტყამდენ ალყას მენშევიკური ბანდიტები, რადგან ეს ხროვა წითელ დროშით მოდიოდა. ისინი ღიმილით მოუახლოვდენ ბაღს, რათა მაცდური ღიმილის ქვეშ უფრო კარგათ შეესრულებინათ დაკისრებული ბნელი საქმე. უცებ ალყა შემოერტყა ბაღს გასავალი კარები ჩაიკეტა და ავის არ მომლოდინე ხალხი, რომელიც პირველად თითქმის აღტაცებით შეხვდა მათ, ეგონა რა, რომ ისინიც მათსავით დაინტერესებული იყვენ საერთო კითხვით, მალე დარწმუნდნენ, რომ მოემწყვდნენ აწ კი მტრის ხაფანგში. გააჩაღეს ცეცხლი, როგორც თოფებიდგან, ისე ტყვიის მფრქვეველებიდან და იქ, სადაც წუთის წინ მეფობდა წესრიგი და უაღრესი ინტერესი ორატორისადმი, გამეფდა არევ დარევა. მებრძოლის წყევლა კრულვა მტრისადმი, ეკლიან მავთულზე დაიხა ხალხი, მან მკერდით გააპო ცეცხლის რკალი, მაგრამ ხსნა არც რკალს იქით იყო; გამხეცებული ხროვა, ეს „მამაცნი“, უიარაღო მუშების წინაამდეგ ქუჩებშიც სდევნიდა მათ, თვითეული მაზარაში გახვეული ჯარის კაცში ისინი გამალებით ეძებდნენ ამხ. შაუმიანს და ერთ-ერთი მათგანი კიდევაც შეიქნა მხოლოდ ამ ეჭვის მსხვერპლი, რომელსაც ტყვიით გაუგმირეს გული. ალექსანდროვის ბაღში კი, უსინდისოთ დასცინოდნენ გაცივებულ გვამებს, აბუჩათ იგდებდნენ დაჭრილის კვნესას და სიხარულით ამჩნევდენ მომაკვდავის უკანასკნელს გულის ცემას.

ასე გათავდა 10 თებერვალის მიტინგი, სადაც მენშევიკებმა აბუჩად აიგდეს ხალხი და მისი ინტერესები. ამ დღეს ნიღაბი აეხადა მენშევიკურ პარტიის გამყიდველებს და მათი საზიზღარი გამცემლური ბუნება ნათლად გამოაშკარავდა.

გავიდა მას შემდეგ 7-წელი, ბნელ წარსულთან ერთად თითქმის მიივიწყა ხალხმა ეს ამაღელვებელი სურათიც და გაითქვიფა იმ საერთო სურათში რომელსაც **„მენშევიკების საქმიანობა“** ეწოდება. ვერ დაივიწყებს მას, მხოლოდ ის ვინც დაკარგა მზრუნავი ხელი—ოჯახის საყვარელი წევრი და კ
დევ ის, ვინც მონაწილეობ
იღებდა 10 თებერვლის მიტინ
გში. იმ ნაწილს, რომელთაც
წილად ხვდა თუნდა გავლი
მიტინგის ხილვა დახვრეტის შ
მდეგ, ცოცხლად უდგება სურათ
თვალწინ; თუმცა ბაღის სინამ
ვილეში ბევრი ცვლილება მოხდ
მას შემდეგ, მაგრამ ზიხარ რო
მელიმე სკამზე, ჩასცქერი მ
წას და თვალ-წინ თავის თავე
უნებლიედ, კვლავ იშლება სა
ზარელი 10 თებერვლის სურა
თი, რომელსაც თანდათანობი
გადაყავხარ **მენშევიკების სა**
**გმირო საქმეთა წიაღში.** მშ
რომელი ხალხი კარგად იცნო
ბს ამ შავ მოღვაწეობას,
ჩვენ არა დაგვრჩენია რა, გარ
იმისა, რომ ვსთქვათ: „არ
**ჩვენ ვსთხოვთ მტერს შებრ**
**ლებას, მაგრამ ნურც ჩვენგა**
**მოელის მას“.**

წითელ არმიელო ამ სიტ
ვის სისრულეში მოყვანა უპ
რველეს ყოვლისა გეკუთვნ
შენ

გ. ფოფხაძე.

# 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის სამხედრო პოლიტიკურ სკოლის არსებობის ერთი წლის თავი.

## ჩვენი სკოლის დღესასწაული.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი წითელ არმიასთან ერთად ზეიმობს მისი არსებობის შვიდი წლის თავს.

ის მხნეთ უწვდის თავის დაკოჟრებულ ძლიერ ხელს წითელ მეომარს და ეუბნება მას: „ჩვენ ორივე ერთად შეერთებული ძალ-ღონით გარდავქმნით ძველ დამყაყებულ სამყაროსა"-ო.



სამხედრო პოლიტსკოლის უფროსი
ამხ. გრ. ნადირაძე.

საქართველოში ეს ზეიმი გაორკეცებულია. მასში ჩაქსოვილია საქართველოს განთავისუფლებისა და მისი აღმშენებლობითი მუშაობის ოთხი წლის თავი. მაგრამ სულ სხვაა სამხედრო პოლიტიკურ სკოლის ზეიმი. ის დღეს გარდა ზემო აღნიშნულ ზეიმისა ჯამს უკეთებს თავის ერთი წლის მუშაობას, და რაც ყველაზე ღირსშესანიშნავია სკოლისათვის, ის ღებულობს ბრძოლის დროშას ზემო-სვანეთის მშრომელ ხალხისაგან. აი ამ ოთხ ზეიმს ერთად იხდის ჩვენი სკოლა. დღეს ის თვალს გადაავლებს თავის ერთი წლის მუშაობას, გაიხსენებს იმ დროს, როდესაც მას არც ბინა ქონდა სკოლისათვის და არც სახელმძღვანელოები კურსანტებისათვის და სხვა.

მაგრამ საერთო ძალ-ღონით ყოველივე დაბრკოლებანი გადალახულ იქმნა და დღეს, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სკოლამ თავის მიზანს მიაღწია. მან აღზარდა ნამდვილი სამხედრო პოლიტ-მომუშავენი ქართულ წითელ ჯარისათვის, რომლებიც ამ მოკლე ხანში წავლენ წითელი ჯარის რიგებში და შეუდგებიან მის აღზრდა განმტკიცებას, მის გაძლიერებას მომავალ ბრძოლებისათვის.

სკოლამ ერთი წლის არსებობით დაამტკიცა, რომ იმ შრომას, რომელიც გასწია საბჭოთა ხელისუფლებამ ამ სკოლის შექმნისათვის, უქმათ არ ჩაუვლია. ის წითელი დროშა, რომელიც დღეს ღებულობს ჩვენი სკოლა ზემო სვანეთის მშრომელ ხალხისაგან, მაჩვენებელია თუ რამდენათ ძლიერია საბჭოთა ხელისუფლება და ვის ზრდის ის მომავალ ბრძოლებისათვის.

ვაშა იმ წითელ დროშას, რომელიც დღეიდან ჩირაღდნათ ექნება სამხედრო პოლიტიკურ სკოლას მომავალ ბრძოლების დროს.

ვაშა საბჭოთა ხელისუფლებას და მის ურყევ მტკიცე სიძლიერეს.

ვაშა სამხედრო პოლიტიკურ სკოლის წლის თავს, რომელიც ფიცს სდებს წითელი არმიის შვიდი წლის თავზე, და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე, რომ თავისი ენერგიული მუშაობით განამტკიცებს მის რიგებს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

გრ. ნადირაძე.

## ქართ. სამხედრო პოლიტიკური სკოლის ისტორია.

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიისადმი 1923 წ. 19 ნოემბრის № 945 ბრძანების თანახმად, ქართ. მსრ. დივიზ. პოლიტგანთან არსებული 3-თვიანი პოლიტკურსები გადაკეთდა სამხედრო პოლიტიკური სკოლად, ამავე წლის 10 დეკემბერს.

სკოლა შეივსო შემდეგნაირად:

პარტსკოლიდან გადმორიცხული იქნა 25 კურსანტი და სულ უმნიშვნელო ქონება.

ამავე წლის 22 დეკემბერს ბრძანების თანახმად სკოლა დამტკიცებული იქნა ერთ წლიან კურსებათ შემდეგი შემადგენლობით: მუდმივი 24 კაცი და ცვალებადი 50 კაცი. მაგრამ 1924 წ- 7 აგვისტოდან № 232 ბრძანებით კურსები გადაკეთებული იქნა 2 წლიანი ნორმალურ სკოლად. სკოლის შემადგენლობა ამის გამო გადიდებულ იქნა 8 მუდმივი და 20 ცვალებადით. სკოლის უფროსათ დანიშნულ იქნა ამხ. ვარლამ გაბუნია, ხოლო სამოსწავლო ნაწილის უფროსად კი ამხ. კოსტანტინე ჭკუასელი.

1924 წ. 10 იანვრიდან სკოლა შეუდგა საქმიანობას. პირველ ხანებში სკოლა ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო ტეხნიკური მოწყობილობისა და სამოსწავლო ნივთების უქონლობის და ბევრი სხვათა გამო, მაგრამ მთელი შემადგენლობის ენერგიულმა შრომამ საქმე ჩქარა გამოასწორა და მეცადინეობაც ნორმალურად სწარმოებდა,

სკოლის ამოცანას შეადგენს ქართულ წითელ ლაშქრის ნაწილებს მისცეს პოლიტიკურათ და სამხედრო საქმეებში გაწვრთნილი პოლიტ-ხელები-კომანდირები.

პროგრამის თანახმად სკოლაში გადიან: პოლიტიკური და საერთო განათლების საგნებს, სამხედრო ტაქტიკას, ადმინისტრაციას, ტოპოგრაფიას, სანდაკობის საქმეს, სროლას, და სამწყობრო მეცადინეობას.

სკოლაში დიდი ყურადღება, ექცევა აგრეთვე საკლუბოს საბიბლიოტეკოს და სხვა და სხვა წრეებში მუშაობას.

კურსანტები დიდ შრომის მოყვარეობას და ინიციატივას იჩენენ ყველაფერში.

წარსული წლის 10 მაისიდან სკოლის უფროსად ამხ. გაბუნიას მაგივრად დაინიშნა ამხ. გიორგი ჯვარეიშვილი, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო მოვალეობას ასრულებდა ჭკუასელი.

20 მაისიდან სკოლა გავიდა საბანაკოთ სურამში, იდგა ქართულ მეთაურთა სკოლასთან ერთად და შეუდგა პრაქტიკულ მეცადინეობას.

ამავე წლის ივლისის ბოლო რიცხვებში ამხ. ჭკუასელი გადაყვანილი იქნა ქართულ მეთაურთა სკოლის სამხედრო კომისრად და მის ადგილას დაინიშნა ამხ. გრ. ნადირაძე, ხოლო სამოსწავლო ნაწილის უფროსად, კი ამხ. გერმანე მათითაიშვილი.

სურამში ყოფნის დროს სკოლა დაუკავშირდა აგრეთვე ამიერ კავკასიის სამხედრო სკოლებს, რომელიც დღემდე არ შეწყვეტილა. სურამში ყოფნის დროს, სკოლა სოფლებსაც დიდი დახმარებას უწევდა.

მან აიღო შეფობა სოფელ ცოცხნარაზე და მთელი შემადგენლობით აწარმოებდა სოფელში ბოგირებისა და გზების გაკეთებას, აწვდიდა გლეხობას ლიტერატურას, აწყობდა კრებებს; მოხსენებებს და წარმოდგენებს.

სკოლას დღემდე აქვს კავშირი სოფელთან, რომელიც გამოიხატება სხვა და სხვა ლიტერატურის მიწოდებით და თვეში ერთხელ მოხსენებისათვის კურსანტის გაგზავნით.



სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

აგვისტოს რიცხვებში სკოლამ სომხეთის პოლიტიკურ სკოლასთან ერთად მოაწყო ექსკურსია ბორჯომში, წალვერში და სხვაგან, სადაც დავათვალიერეთ ქარხნები და მუშათა დასასვენებელი სახლები.

მენშევიკური ბანდიტური გამოსვლების დროს, სკოლის კურსანტებმა, ერთხმად მოითხოვეს ქართველი ხალხის გამყიდველების წინააღმდეგ გალაშქრება.

27—29 აგვისტომდე სკოლის ნაწილი წარმატებით მოქმედებდა შორაპნის მაზრის № რაიონში, სადაც მის მიერ შეპყრობილი იქნა გამოსვლების მეთაური ჭიათურაში.

კურსანტებმა აქვე აღმოაჩინეს იარაღის საწყობები, და გადმოხვეწილ მეთაურ ბანდიტებს დაატოვებინა სამი ცხენი.

30 აგვისტოს სკოლა შეუერთდა მე-4-ხე ქართულ ლეგიონს და გადავიდა ქალ. ქუთაისში, აქ ის ორი დღის განმავლობაში დაუსვენებლათ ეწეოდა საგარნიზონო სამსახურს.

2 სექტემბერს 2-რე დივიზ. უფროსისგან სკოლამ მიიღო ოპერატიული ამოცანა და ორი სამთო ქვემეხით გაემგზავრა ლეჩხუმის მაზრაში ცაკის წევრის ამხ. ბობოხიძის თანხლებით. ჩვენს რაზმს 27 საათის განმავლობაში ეჭირა ქალაქ ცაგერის, ე. ი. მდინარე ცხენის წყლის მარცხენა ნაპირი და სიმაღლეები.

ადგილობრივი გლეხების დახმარებით სკოლამ პირველმა განდევნა ბანდიტები ცაგერის სიმაღლეებიდან და ქალაქში და მის მიდამოებში დაამყარა მშვიდობიანობა.

6 სექტემბერს ამხ. გიორგი თუხარელის რაზმთან სკოლა გაემგზავრა სვანეთში ბანდიტების გასანიარაღებლად. აქ სკოლამ აღნიშნულ რაზმთან ერთად ჩაიდინა ჯერ ისტორიაში გაუგონარი გმირობა. მან არა ჩვეულებრივი მხნეობით გადალახა სვანეთის მთების მიუვალი ადგილები და თითქმის უსისხლოდ შეასრულა ამოცანა.

ქვემო სვანეთის განიარაღების შემდეგ რაზმი გაემართა ზემო სვანეთისაკენ; აქ მას წინ გადაეღობა უზარმაზარი სიმაღლის მთა (ლატპარა). დილის ხუთ საათზე გასულმა რაზმმა საღამოს 8 საათზე ძლივს მიაღწია მთის მწვერვალს, სადაც ის დაბანაკდა. 15 სექტემბერს სკოლამ მიიღო ოპერატიული ამოცანა და გაემგზავრა უშკულის საზოგადოებისაკენ, შემდეგ კალის საზოგადოებაში, სადაც უერთდება მთავარ ნაწილს, და მასთან ერთად იმოგზაურა იფარის საზოგადოებამდე. 18 სექტემბერს სკოლამ ისევ მიიღო ოპერატიული ამოცანა და გაემგზავრა ლატალის საზოგადოებისაკენ და საღამოს რვა საათზე პირველი შევიდა ბეჩოში (ზემო და ქვემო სვანეთის ცენტრში), აქ დამთავრდა რაზმის ამოცანა. ამ რიგად სკოლამ დიდი მონაწილეობა მიიღო სვანეთის მშრომელი ხალხის მენშევიკ—ბანდიტებისაგან განთავისუფლებაში.



სამხედრო პოლიტსკოლის სამოსწავლო ნაწილის უფროსი
ამხ. გ. მათითაიშვილი.

23 სექტემბერს რაზმი ბრუნდება ლახამულის საზოგადოებიდან ქ. ზუგდიდში და იქიდან ქალაქ ტფილისში. ამნაირად სკოლამ ფეხით გაიარა 800 ვერსი

თანახმად პოლიტ განყოფილების ცირკულიარისა სკოლაში 1-ლ და 2-რე დივიზიის ნაწილებიდან გადმგზავნილი იქნენ 50 პარტიული წით. არმიელები.

გამოცდების შემდეგ სკოლაში უნცროს კურსის კურსანტებათ ჩარიცხული იქნენ 29 კაცი.

უნცროსი კურსის კურსანტები თავიდანვე დიდ უნარს იჩენენ მეცადინეობაში. სკოლამ ტფილისში მოაწყო ექსკურსიების მთელი რიგი. დავუკავშირდით მუშებს. სკოლა მჭიდრო კავშირშია ტფილისში მდგომ სამხედრო ნაწილებთან.

ამ ერთი წლისა და ოთხი თვის განმავლობაში მუყაითმა მუშაობამ კარგი შედეგები მოუტანა სკოლას.

რამოდენიმე თვის შემდეგ ჩვენი სკოლა გამოუშვებს სანიმუშო პოლიტ—ხელებს ქართული სამხედრო ნაწილებისათვის. დღეს, 25 თებერვალს სკოლა ღებულობს სვანეთის მუშებისა და გლეხებისაგან წითელი დროშას შემდეგი წარწერით:

---

...ლი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას მიჰყიდეს ბ. მენშევიკებმა. დაბოლოს კი ბატონ მენშევიკების პარაზიტ-ბელადებმა: ჟორდანია, რამიშვილმა, ჩხეიძემ და მათმა ძმებმა საქართველოს მშრომელი ხალხის ქონება საზღვარ გარეთ გაიტაცეს და იქ გაფლანგეს.

25 თებერვალს საქართველოს მშრომელმა ხალხმა ბოლო მოუღო მათ ბატონობას და დაამყარა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ჩამოაგდო მშვიდობიანობა, გააუმჯობესა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, მოგვცა თავისუფლება, გააფართოვა სწავლა-აღზრდის საქმე, გააძლიერა აღმშენებლობითი მუშაობა და სხვა.

დღეს, საქ. გასაბჭოების ოთხი წლის თავზე ჩვენ ანგარიშს უკეთებთ ჩვენს მიღწევებს; ამ ოთხი წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ.

გასაბჭოების ოთხი წელი— ეს ზეიმია საქართველოს მშრომელი ხალხის.

4 წლის თავზე წითელი ჯარის მიღწევები მნიშვნელოვანია.

თუ დღემდის ჩვენთვის დაუჯერებელი იყო ყაზარმის სკოლათ გადაქცევა, დღეს 4 წლის თავზე უდავო ფაქტია, რომ წითელი ყაზარმები ჭეშმარიტათ პოლიტიკურად და კულტურულათ აღმზრდელი სკოლაა.

დიაღ! 4 წელი ჩვენთვის წელია აღორძინების განათლების და უდიდესი მიღწევების.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 4 წ. თავს!

გაუმარჯოს ლენინიზმს და კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ძლევა-მოსილ წითელ არმიას!

ს. იმნაიშვილი.

„ზემო სვანეთის მშრომელი ხალხისაგან პირველ მსროლ. დივიზიის სამხედრო პოლიტიკურ სკოლას“.

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ერთი წლის არსებობის თავს და ფიცს ვსდებთ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ ამ წითელ რდოშას ძირს არ დაუშვებთ და მუშურ-გლეხური მთავრობის პირველი გამოძახილის თანავე უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ მუშურ—გლეხურ თავისუფლებას.

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას მთელ მსოფლიოში, გაუმარჯოს წითელ ლაშქარს, გაუმარჯოს სამხედრო პოლიტიკურ სკოლის წლის თავს.

ქუთელი.

## ახალი ძალები.

ჩვენი სამხედრო პოლიტიკური სკოლა თავისი ამოცანებით, დღეს იმ ძირითადი პრინციპების გამართლებას წარმოადგენს, რომელიც ისტორიულად დაკისრებული აქვს რევოლიუციისაგან სახელოვან წითელ არმიას. ახალგაზრდა ქართველი ჯარი, დღითი დღე წინ მიიწევს თავისი სამხედრო გამოცდილებითა და რევოლიუციონური შეგნებით.

ჩვენი სკოლაც ამ გამოცდილებას ემსახურება. მისი ამოცანაა მისცეს ქართველ ჯარს ისეთი პოლიტ-ხელმძღვანელები, რომლებიც კიდევ უფრო ასწევენ ჩვენი დივიზიების წითელ არმიელთა კულტურულ დონეს.

წითელ-არმიელთა კულტურული აღზრდა უპირველესი მიზანია, რამდენადაც ეს საკითხი სოფლის გლეხკაცობის კულტურულად წინ წაწევას მოასწავებს.

**ამ მიზნით ჩვენი სკოლა თავის მსმენელებს აძლევს სათანადო მასალებს, როგორც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის, კოოპერაციის, საბჭოთა მშენებლობის ისე საერთო განათლების და პარტიული აღზრდის სფეროში.**

**სამოსწავლო ნაწილის მუშაობა თავისი სწორი და მნიშვნელოვანი გეზით ამ ძირითადი ამოცანების შესრულებას ემსახურება.** მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი ამოცანებისა, რომელიც არის დასმული სკოლის წინაშე, ამ უკანასკნელის საერთო მუშაობას ზოგიერთ შემთხვევაში მრავალი ტეხნიკური დაბრკოლებები უშლიან ხელს, რომლებიც თანდა თანობითი ენერგიული მუშაობით გამოსწორების გზაზე დგება. ერთი წლის თავზე, ერთი წლის გამოცდილებით ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ: სამხედრო პოლიტიკური სკოლა ჩვენი ქართველი ჯარის მომავალი საფუძველია.

ის წარმოადგენს იმ ძალას, რომლითაც ჩვენი წითელი ჯარის პოლიტიკურ-კულტურული აღზრდა უფრო აჩქარებული ტემპით წავა წინ.

შ. ხ.

# რადიო-დეპეშები

## საბჭოთა კავშირში სიტყვის თავისუფლებით არ სარგებლობს მხოლოდ კონტრ-რევოლიუცია. რუსეთს წინ უდგას დიადი მომავალი.

## ვერავითარი კაპიტალისტების კავშირი ვერ წაართმევს რუსეთის მშრომელს იმ დიად მომავალს, რომელიც მან ბრძოლით დაიმსახურა.

ამხ. ბრომლეის განცხადება.

ბრიტანეთის პროფკავშირთა დელეგაციის წევრმა ბრომლეიმ, რომელმაც იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, თავის შთაბეჭდილების შესახებ მიტინგზე განაცხადა: „სწორედ მართალია ის, რომ რუსეთში არ არის სიტყვისა და პრესის თავისუფლება, მაგრამ რუსეთში ამას ჩადიან იმიტომ რომ, **რომ ხელი შეუშალონ კაპიტალისტების დახმარებას ოპოზიციის პრესაზე და საშუალება არ მისცენ ევროპის კაპიტალისტებს გააგზავნონ რუსეთში თავისი პროპაგანდისტები.“**

შემდეგ ბრომლეიმ ქებით მოიხსენია საბჭოთა კავშირის გამასწორებელი სახლების რეჟიმი, ილაპარაკა რელიგიის თავისუფლებაზე, აღნიშნა ქალების მდგომარეობის გაუმჯობესება და პროსტიტუციის შემცირება, საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ბავშვებზე და დაწვრილებით შეჩერდა მემამულეების მიწების გლეხებზე გადაცემაზე.

დასასრულ ბრომლეიმ განაცხადა: „მე ღრმად მრწამს, რომ რუსეთს წინ აქვს დიადი მომავალი, რომ მთელი ქვეყნების კაპიტალისტების კავშირს არ შეუძლია წაართვას ხალხს ეს მომავალი, რომელიც მან ბრძოლით მოიპოვა.“

## საბჭოთა კავშირის მიერ შეთანხმების დამტკიცებამ დიდი სიხარული გამოიწვია იაპონიაში.

საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ იაპონია საბჭოთა შეთანხმების დამტკიცებას დიდის სიხარულით შეხვდა იაპონიის პოლიტიკური წრეები, რომლებიც ამბობენ, რომ საბჭოთა მთავრობამ, დაასწრო რა იაპონიას შეთანხმების დამტკიცება, ამით დაუმტკიცა მას თავისი ნდობა და მეგობრობა.

იაპონია დაამტკიცებს შეთანხმებას ხუთშაბათს საიდუმლო საბჭოს პლენარულ სხდომის შემდეგ, რომელიც მოხდება ოთხშაბათს.

## ამსტერდამის ინტერნაციონალის რეზოლიუცია პროფკავშირთა გაერთიანების შესახებ.

## ეს არის ნაბიჯი უკან.

**კონფერენცია მოწვეულ უნდა იქნას ყოველგვარ პირობების გარეშე.**

### ფიმენი ამსტერდამის რეზოლიუციის შესახებ.

ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების მთავარმა მდივანმა ედდო ფიმენმა „დეილი გერალდის“ თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის რეზოლიუცია სრულიად რუსეთის პროფკავშირთან გაერთიანების შესახებ—ეს არის ნაბიჯი უკან პროფმოძრაობის გაერთიანების საკითხში, ვინაიდან ეს რეზოლიუცია იმეორებს ძველ წინადადებას, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა მიიღონ ამსტერდამის ინტერნაციონალის მუხლი.

„ამსტერდამის რეზოლიუცია—განაცხადა ფიმენმა ეს არის წინადადება რუსეთისადმი დაავდონ ბედის ანაბარად პროფინტერნში შემავალი ყველა ორგანიზაციები. ეს წინადადება არამც თუ მარტო დამამცირებელია რუსებისთვის, არამედ მოითხოვს მათგან უპატიოსნო ნაბიჯს. თუ ჩვენ მართლაც გვსურს ყველა მუშათა სასარგებლოდ განვახორციელოდ პროფმოძრაობის მთლიანობა, იმ შემთხვევაში ამსტერდამისა და მოსკოვს შორის ურთიერთ დამოკიდებულებაში არ უნდა იყოს არც დამარცხებული და არც გამარჯვებული.

ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ბრიტანეთის წინადადების მიღებით კონფერენციის მოწვევის შესახებ ყოველგვარ წინასწარ პირობათა გარეშე“.

## კრედიტი მოსკოვის სახალხო ბანკს.

ლონდონის ცენტრალურმა კოოპერატიულმა ბანკმა გაუხსნა ახალი კრედიტი მოსკოვის სახალხო ბანკს.

## სოციალ-დემოკრატები—სისხლიანი რეჟიმის დამცველია.

მთელ ბულგარეთში წინანდებურად სწარმოებს დაპატიმრება, ვარნაში დააპატიმრეს ქალაქის საბჭოში არჩეული კომუნისტები—მიტევი და კალჩევი და გააგზავნეს სოფიაში. სოფიაში დააპატიმრეს უმუშავართა დამხმარე ბიუროს მდივანი. კომუნისტ დეპუტატის მაქსიმოვის საქმის გარჩევის დროს, რომელსაც ბრალდება მოწოდების გავრცელება აჯანყებისათვის, ფაშისტებმა შეუგდეს ბომბი ბინაზე მის დამცველს.

ტერორს მხარს უჭერენ სოციალ—დემოკრატები, რომლებმაც არ მოაწერეს ხელი ამნისტიის კანონ—პროექტს. ეს ამნისტია შეიტანა პარლამენტში გლეხთა კავშირმა და კომუნისტებმა. ზოგიერთმა ბურჟუაზიულმა დეპუტატებმა უკვე მოაწერეს ხელი აღნიშნულ კანონ—პროექტზედ.

## ამხ. ლანცუცკის საქმე.

რემედასის აღმასკომმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ამხ. ლანცუცკის გასამართლება დანიშნულია პერემიშლში მარტის პირველ ნახევრისთვის. ლანცუცკის ბრალი ედება იმ მუხლის ძალით, რომელშიაც გათვალისწინებულია ხანგრძლივი ციხე ან სიკვდილით დასჯა.

**ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი**

სთხოვს მე-5-თე მოწვევის საბჭოში არჩეულ წევრებს მიიღონ პრეზიდიუმის სამდივნოში (ტფილისის აღმასკომი ოთახი № 5), საბჭოს წევრობის დროებითი მანდატები.

მანდატების მიღებისას უნდა წარმოდგენილ იქნეს საარჩევნო ყრილობის ოქმი.

**პრეზიდიუმი**

# ამბები სოფლებიდან

**სკოლები სვანეთში.**

ზემო სვანეთის სამაზრო აღმასკომის ცნობით, ზემო სვანეთში ამჟამად გახსნილია 20 პირველ დაწყებითი სკოლა, სადაც სწავლობს 995 მოსწავლე.

**ტელეფონი სოფლად.**

ლეჩხუმის აღმასკომმა გადასწყვიტა იშუამდგომლოს ცენტრის წინაშე, რომ თუ ცენტრი ტეხნიკურ დახმარებას აღმოუჩენს აღმასკომი გაიყვანს ტელეფონის ხაზს სოფ. ნაყურალებში, მახაში, ზუბში, ოყურეშში და ლაშხეთში.

**საბჭოთა აღმშენებლობა ზემო სვანეთში.**

ზემო სვანეთის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა ზაფხულისათვის, სოფ. მესტიაში, სადაც სამაზრო ცენტრია, ააგოს აღმასკომის შენობა, აბანოები, სამკურნალო, მოაწყოს საფუტკრე და გააშენოს ბაღი.

**ლუდის ქარხნის ჩამორთმევა.**

ახალციხის აღმასკომმა დაადგინა ჩამოართვას ადგილობრი კერძო მესაკუთრეს ლუდის ქარხანა და გადასცეს იგი ადგილ მეურნ. განყოფილებას, რად განაც კერძო მესაკუთრე ს დილობს უვარგისობაში მოიყ ვანოს ქარხანა და ზარალი მია ყენოს ამით სახელმწიფოს.

**ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან სვანეთში.**

ზემო სვანეთში ამჟამად გა ხსნილია 22 წ.-კ. უცოდინარ სალიკვიდაციო პუნქტი, სად სწავლობს 646 მოქალაქე. აქ დან 75 ქალია.

# ახალი ამბები.

— **ელექტროფიკაცია საქართველოში.** საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოიწონა ამხ. ვოლოხის მოხსენება საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ და მასალები გადაუგზავნა საქ. სახ. საგეგმო კომიტეტს.

— **საექიმო დახმარება.** მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში სოც. დაზღვევის განყოფილებას განზრახული აქვს დახარჯოს დაზღვეულთა ჯანმრთელობის დასაცავათ 981.791 მანეთი.

— **მუშათა დასასვენებელი სახლების შესანახათ.** სოც. დაზღვევის განყოფილებამ გადასწყვიტა, წელს მუშათა და სასვენებელ სახლების შესანახათ დახარჯოს 143.243 მან.

— **ევკოგრუზის სახერხი ქარხანა.** ამ ერთი კვირის წინეთ უკვე ამუშავდა „ევკოგრუზი“-ს სახერხი ქარხანა, რომელიც შეჩერებული იყო უმასალობის გამო. ამ ჟამად ქარხანა მუშაობს სრული დატვირთვით.

— **რამდენი ღვინო მოდის აღმოს. საქართველოში.** სახალხო მამულების ტრესტის ცნობით აღმოსავლეთ საქართველოში ყოველ წლიურად საშუალოთ მოდის 2.820.100 ვედრო ღვინო.

— **სასოფლო—სამეურნეო მუზეუმი.** გახსნის დღიდან წლის ბოლომდე დაუთვალიერებია 3 ათას მოქალაქეს.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის საარტილერიო ლეგიონი მწუხარებით აღნიშნავს ტრაღიკულად გარდაცვალებას ყოფილ თანამოსამსახურეს მე-3-რე საარტილერიო ლეგიონის წითელ მეთაურის ამხ.

**თევდორე მიხეილის-ძე კეფაშვილის**

დაკრძალვა 26 თებერვალს ქალ. ქუთაისში.

2-რე ქართულ დივიზიის საარტილერიო ლეგიონის უფროსი და წითელ არმიელთა შემადგენლობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ნაცნობებს და საზოგადოებას, რომ ა. წ. 23 თებერვალს ტრაღიკულად, ამავე ლეგიონის კავშირის უფროსის ამხ.

**თედო კეფაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში, 26 თებერვალს, 12 საათზე.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.